სახალხო გაზეთი

№ 1013 ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი 1913 წ. № 1013

განცხადების ფასი: ნეფულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დანუკლ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით ხტამბა „ზრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაპრო სახლის ლ. და მ. შეტცლ. და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. ხიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მიღებირაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 3 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარედ ღირს 2 მ. 25 კ.
თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

კნ. მართა ივანეს ასული და თავ. მიხეილ ზაქარიას ძე ვაჩნაძენი, სვიმონ და არჩილ ვაჩნაძენი და მარიამ მიხეილის ასული ყიფიანისა ქმრითურთ, ნინო და ელენე ზაქარიას ასულნი ვაჩნაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაბალაგოდახში გარდაიცვალა სათავად-აზნაურო გიორგაზის მე-VII კლასის მოწაფე

ლევან (ლეო) ვაჩნაძე,

პირველთა ძვირფასი შვილი, მკრეთა ძმა და მკსამეთა ძმისწული. 694.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგენა 8—4.

ხუთშ. ბ., 10 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება პირველად ახალი პიესა:

უნიადაგონი, 4 მ. ვალ. შალიკაშვილისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ჩერქეზიშვილი, მდივანი, ჯავახიშვილი, თოიძე. ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მეხსი, წუწუნავა, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება „სინათლე". 147

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საბაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 10 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

გენეფისი

მსოფლიოს ერთად-ერთი ჰაერის აკრობატების „ოთხი ეშმაკისა".

საცირკო ახალი ამბავი, ძლიერ ეფექტიანი, დღეს ერთი მობენეფისე შეასრულებს პირველად ტფილისში „ზღვის აქტს" ბაბუკაზე. პირადი დასწრება და გაგრძელებთ, რომ „ოთხი ეშმაკი" განსაცვიფრებელ ნომრებს ასრულებენ, დასასრულ ნაციონალური ცეკვა „მატლო". ამას გარდა საქენეფეი ოთხ ადგილზე ნონაწილეობენ— [illegible] ცნობილი ვირტუოზი ველოსიპედისტი **ჩარლეზ-დიკი** და სხვა პირველ-ხარისხოვანი ოვალი არტისტები. დაწვრილებით აფიშებში. ✦ კონტრამარკები არ გადაიგზავნება.

დასაწყ. საღამ. 7-ნახ. ს., დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ა ნ ო ნ ს ი: ხვალ დიდი წარმოდგენაა. 693

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

პარასკევს, 11 ოქტომ., 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება **მკოთხელი სახალხო ! ცენაზე** დ[illegible]:

უმუშავარნი, 4 მოქ. ბელოლისა. თ.

რეჟისორ. ლ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. ანკარა, გოდერძი, თ. ნარაკიძე, მ. რომანიშვილი, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, თვალპრელიძე, ს. რომანიშვილი, ნ. ქანკვატაძე და თანამეზრომელთა ჯგუფი.

დასაწყისი საღ. 8½ ს. ✦ ადგილების ფასი ნ კ.—50 კ.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანამშემწე **ნ. ჭანკვატაძე.**

ფარდ. ფასის შემდეგ თეატ. დარბაზში შესვლა აკრძალულია. შემდ. წარმ. 21 ოქ. 148

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამზრუნველოთ განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ვ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკეშვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და საშოობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ფერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. ვ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულნ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.
	ფედოროვი ბ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.
	ფონდოევი ბ. ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და სამბაქტეიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციასათვის 50 კ. საწოლ. ოთ. 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე ფასით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შედავათიანი საფასურით. წ. 1035

ქართული თეატრი

დავით კლდიაშვილის საღამო.

პარასკევს, 11 ოქტომ., ქართულ თეატრში გაიმართება **საინტერესო**

სალიტერატურო საღამო.

I.

კოტა აბაშიძე წაიკითხავს ლექციას: **„ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე".**

II.

დავ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯაძე და **ი. გრიშაშვილი** წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებთ.

III.

ალ. ჯანელიძე წაიკითხავს ლექციას: **„ეროვნული შემოქმედება".**

IV.

დასასრულ **ვალ. შალიკაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

დარისპანის გასაჭირი

ვოდ. 1 მ. **დავ. კლდიაშვილისა.**

დასაწყისი საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია. 1521

დაიგეჭდა და იყიდება

მოსწავლეთათვის სახირო წიგნი

მკენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა

მრავალი სურათით. შედგენილი ალექსი ჭაჭანიძის მიერ. ფასი 35 კაპ. (დაეთმობათ ნაკლებად ვინც ათზე მეტს იყიდის)

იყიდება ტფილისში მ ხ ო ლ ო დ ჯ ე ჯ ი ლ ის რედაქციაში. (არტილერიის ქუჩა). 1503

ქ-ნი პორტუგალოვისა

ა ც ხ ა დ ე ბ ს, რ ო მ

საფეხრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდან № 23—24 არის,

ზაჟთრის სეზონის ეოასლოვებისა გამო დანიშნულია

დ ი დ ი ვ ა ჭ რ ო ბ ა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახს ცნობთ, რომ ნაგზავნ ყოველ კვირა ნოსდან ახალ-ახალი საქონელი **რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

საგაკვეთო გაზეთი

ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყო. ბავშვების მიღება ყოველ დღე. ბაღთან გაიხსნა მოსამზადებელი განყოფილებაც. 1518

ძ უ თ ა ი ს ი

ფართლეულოგის მაღაზია.

სავაჭრო სახლი

ს. კალანდარიშვილისა ნ. ბიძოვანისა და ნ. დავითაიანი,

ძ უ თ ა ი ს ი

ვორონეცოვის და მიხაილ. ქუჩ. კუთხე.

ვორონეცოვ. ქ. ბეველიანის შენობაში

1526

გვაქვს მიღებული დიდი ასარჩევი **საზამთრო სეზონის საძოვნელი, იყიდება ხელ მისაწვდომ ფასად.**

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გ ა ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს წრის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 13 ოქტომბერს 1913 წ., დღის 11 საათზე, ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) სარევიზიო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავება და 2) მიმდინარე საქმეები. 1490

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

✦ ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ✦

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

აგენტმა ივანე გრიგოლის ძემ ✦ ხალათიანმა ✦

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის ბრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჰრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და გაანახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი** და გულისა შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინურ** წამლობა ხელოვნური **ენერგეტიკის** ელვისებური სხივებით **ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 6—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 საათ. **საწყალებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

საქართველოს გმირი

დიდი მოურავი

გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე

სრული გამოცემა 12 სურათით.

გ. ხერუაშვილისა.

✦ იყიდება ყველგან წიგნის მაღაზიებში. 692 ✦

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახგლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანეფე. ბავშვ. შინ. გ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ. დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაში, სადოსტაკრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ნ. საათ.

ასპიროვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკარიანი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოთხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

ბეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიებებიდან მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად „შენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაგრეგად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლდას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქაშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდ. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოლოგი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. ვ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ალექსიშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი: ბურდვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი ჩვეულებრივის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით 1462

ქართული ეროვნული

წიგნების გამოცემა ძალიან კარგი საქმეა, მოწესრიგება გამომცემლობისა უფრო კარგი. ამიტომ, თუ გაზეთი „ძერცხალი" იტყვის, წიგნებ. ს გამომცემლობა მოვაწესრიგოთო, ჩვენ დიახაც რომ უნდა მოვუწონოთ ეს აზრი. მაგრამ ქუთათური „მერცხალი" ისეთი თვისებისა ყოფილა, რომ ჭიკჭიკის ნაცვლად ყვავივითა სჩხავის და ამიტომ ყოველი სასარგებლო აზრი მის ხელში ყორანივით შავდება. როგორ მოისვენებდა „მერცხალი", რომ წიგნების გამოცემაზე ჩამოეგდო ლაპარაკი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის ყვავივით არ დაეჩხავლა. წერა-კითხვის საზოგადოება ყელში ეჩხირება და ვერ მოუსვენია, რომ ჩვენში არსებობს თუნდაც ერთი ისეთი დაწესებულება, რომელიც ამ დუხჭირ პირობებში ჩვენი ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას ემსახურება. სწორედ ეს აჩხავლებს ქუთათურ „მერცხალს".

„ერთად-ერთი დაწესებულება, —სწერს „მერცხალი", რომლის მოვალეობასაც შეადგენს ქართულ ლიტერატურისა და შინაარსიან წიგნების გამომცემლობაზე ზრუნვას, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება უნდა იყოს. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს დაწესებულება არამც თუ არ ზრუნავს წიგნების გამოცემასა და გავრცელებაზე, არამედ, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა „მერცხლის" ერთ-ერთ ნომერში ბ-ნმა ეულმა, უკვე გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებსაც არ აჭაჭანებს წ.-კ. წიგნის მაღაზიაში".

გასაოცარი რამ დაწესებულება ყოფილა ეს წერა-კითხვის საზოგადოება! წარმოიდგინეთ ჯგუფი მეა-

მბოხეობისა, რომელნიც ჩასაფრებულან წერა-კითხვის საზოგადოებაში მხოლოდ იმიტომ, რომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ წერა-კითხვის გავრცელებასა. ამ საშვილიშვილო მნიშვნელობის აღმოჩენის შემდეგ „მერცხალი“ წერა-კითხვის მტრებს ახასიათებს და „მიზეზებს“ ეძებს.

„მიზეზის გაგება არც ისე ძნელია. გამგეობაში მოკალათებულია ისეთი პირები, რომელნიც სხვებს უკიჟინებენ ამა თუ იმ დაწესებულებაში ვიწრო ჯგუფის პოლიტიკის წარმოებას, ნამდვილად კი, თვითონვე ყველაფერს თავიანთ ვიწრო ჯგუფის ინტერესებს სწირავენ“.

აღმოჩენაც ასეთი უნდა. იმედია „მერცხალი“ სტატისტიკურად დამტკიცებს, რამდენი ცალი „სახალხო გაზეთი“ იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. იმედია აღმოიჩენს, რომ ჟურნალი „კალდე“ ათასობით იყიდება იმავე მაღაზიაში და მხოლოდ „მერცხალს“ არ აძლევენ საშუალებას იჩხავლოს წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ეჰ! რაღა საქიროა სიტყვის გაგრძელება. ბოროტი გრძნობა ყველაფერს ათქმევინებს ადამიანს. მაგრამ ფართო საზოგადოების კეთილი გრძნობა, რომელიც ყოველთვის ჰფარავდა წერა-კითხვის საზოგადოებას ყოველგვარ მავნესაგან, იმედია ამიერიდანაც დაიფარავს „მერცხლის“ ჩხავილისაგან.

ახალი ამგავი

ტფილისი

✦ კიდევ ექსარხოსის დანიშნვის თაობაზე. ჩვენს გაზეთში აღნიშნული ვქონდა სატახტო-გაზეთების ცნობა, რომ ექსარხოსად ალექსი ტობოლელს ნიშნავენო. გაზ. „დენის“ კორესპონდენტს უსაუბრიხია ამის გამო სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგთან დამანსკისთან, რომელსაც უთქვამს: გაზეთების ცნობა ძლიერ ნაჩქარევია, სინოდს ჯერ არ მიუღია ცნობა საქართველოს ექსარხოსის დანიშნვის თაობაზეო.

✦ ამ მოკლე ხანში **„მუსიკის მეგობართა საზოგადოება“ დასდგამს** თვისი წევრის და ხახინადრის ბ-ნ **მ. ლ. ტოს ბალანჩივაძის ოპერას „თაძარ ცბიერს“.** საზოგადოება საშზადისს უკვე შეუდგა. განზრახულია, თუმცა ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, დასდგან ეს ოპერა კონსერვატორიის დიდს თეატრშიაც, რომელიც იჯარით აქვს აღებული „სამუსიკო დრამას“.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს გახსოფილება ამ ღ ღ ებში **ბაქოში გამართავს კონცერტს საზოგადოების სასარგებლოდ.** ამ კონცერტის მუსიკალური განყოფილების მოსაწყობად მიუწვევიათ, კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი, რომელიც, სხვათა შორის, შეასრულებს ახალ ვოკალურ ნაწარმოებს ხოროსათვის (საცეკვაოს), რომელიც ავტორს უძღვნია კომპოზიტორის დ. არაყიშვილისათვის.

✦ **საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტის ქოხება ტფილისში.** გასვენებულ ეგზარხოსის ქონება, ტფილისში ასწერა მეორე სამმრიგებლო განყოფილების ბოქაულმა ერევნის ეპისკოპოს პიმენისა, სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის იროფეისა, ეგზარხოსის კანცელარიის წარმომადგენლებისა და პოლიციის თანდასწრებით. გასვენებულმა, სხვათა შორის, დატოვა ძვირფასი 30 სრული საარქიერო შესამოსი. ზოგი მათგანი 1,000 მან. ღირს, სულ ღირებული 15,000 მანეთზე მეტად. დატოვა აგრეთვე 9 ძვირფასი მიტრა და ძვირფასივე ბიბლიოთეკა, რომელიც მიეცემა გასვენებულ ეგზარხოსის მემკვიდრეებს იმ შემთხვევაში, თუ ანდერძში სხვა დანიშნულება არა აქვს ამ ბიბლიოთეკას. ტფილისში, ეგზარხოსის სადგომში, ანდერძი არ აღმოჩენილა. აწერის დროს ეგზარხოსის ბინაზე იპოვეს ერთ თუმნამდე ვერცხლის ფული.

✦ **ფულის გადადება ეკლესიებისათვის.** ამიერ-კავკასიის იმ სოფლების ეკლესიების ასაშენებლადა და გასამშვენიერებლად, რომელნიც რუსებით არიან დასახლებულნი, წელს ხაზინიდან გადაიდო 17,371 მან.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ.** 8 ოქტომბერს მხოლოდ 54 ახალგაზრდის შემოწმება მოასწრო. ამათში ჯანსაღად იცნო და სამხედრო სამსახურში ჩარიცხა 21 კაცი; 5 ახალგაზრდა სამხედრო ჰოსპიტალში გაგზავნა დასაწვენად და ოთხიც საგუბერნიო საკრებულოში გაჰგზავნა ხელმეორედ შესამოწმებლად. დანარჩენები სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად იცნო. ამ დღემდე საკრებულომ სულ 60 კაცი ჩარიცხა სამხედრო სამსახურში. ჯარში მიღებულნი 27 სექტემბერს უნდა მივიდნენ სამხედრო უფროსთან, რომელიც გამოუცხადებს მათ, ვინ რომელს ქალაქში უნდა გაიგზავნოს.

გუშინ საკრებულომ 68 ახალგაზრდა შეამოწმა. ამათში სამხედრო სამსახურში 25 კაცი ჩარიცხა. 5 სამხედრო ჰოსპიტალში გაგზავნა, ხოლო ორი-საგუბერნიო საკრებულოში. დანარჩენები უვარგისად იცნო. გუშინდლამდე სამხედრო სამსახურში ჩარიცხულ იქმნა სულ 85 კაცი.

✦ **ტფ. ფუნიკულერი.** 15 ოქტომბრიდან მხოლოდ ნაშუადღევის 5 საათამდე იმუშავებს. ახლა საღამოს 8 საათამდე მუშაობს.

✦ **გორის ქალაქის მოურავმა ზ. ქიტიაშვილმა ტფ. ქალაქის გამგეობას** წერილი გამოუგზავნა, რომლითაც აცნობებს, რომ მოკლე ხანში განზრახულია გორის ქალაქის თვითმმართველობაში რეორგანიზაცია საქმის წარმოებისა და საფინანსო ნაწილისა და სთხოვს, ამ საქმეში შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს. ბ-ნ ქიტიაშვილს აზრად ჰქონია, გორის ქალაქის თვითმმართველობის საქმის მწარმოებელნი სამუშაოდ ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში გაამოჰგზავნოს რამდენიმე ხნით, რათა შეძლება მიეცეთ საქმე კარგად გაიცნონ და გამოცდილება ძიიღონ. აცნობებს რა ამას, ბ-ნი ქიტიაშვილი სთხოვს ქალაქის გამგეობას, სამუშაოზე დაუშვას გამოგზავნილი პირნი და მათ ჯამაგირად თვეში 70—80 მ. დაუნიშნოს, რადგანაც გამოგზავნილ პირთა ნაცვლად გორს ახალ პირთა მიწვევა დასჭირდება და გორის ქალაქის თვითმმართველობას ნივთიერი საშუალება არ მოეპოვება ტფილისში გამოგზავნილ პირთა და მათ ნაცვლად მიწვეულ პირთა შესანახად.

✦ **ტრამვაის** მოსამსახურეთა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის მოლაპარაკება უკვე დასრულდა და საბოლოო შეთანხმება მოხდა. ორივე მხარე კომპრომისზე წავიდა. ჯამაგირების მომატების საკითხის გამო მოლაპარაკებამ ყველაზე დიდხანს გასტანა. მუშები, როგორც ვწერდით, 10% მომატებას თხოულობდნენ, მაგრამ ბოლოს რობის წინადადებას დასთანხმდნენ; 5% მომატებას. საოჯახო ბილეთების გამო შემდეგი შეთანხმება მოხდა: დირექცია მისცემს ორს ბილეთს თვითეულ ოჯახზე, იმ პირობით კი, რომ კვირა-უქმე დღეებში საღამოობით არ ისარგებლოს ამ ბილეთებით; მოწაფის ბილეთი თითო ოჯახს მიეცემა იმდენი, რამდენი მოსწავლეც აღმოჩნდება ამ ოჯახში; ამ ბილეთებით სარგებლობა შეიძლება დილიდან დაწყებული მხოლოდ ნაშუადღევის 3 საათამდე, ე. ი. იმ დრომდე, როდესაც სასწავლებლებში სწავლა თავდება და მოსწავლენი სახლში ბრუნდებიან. მოლაპარაკების დროს მოსამსახურეებმა მოითხოვეს შერეულ კომისიის არჩევა. ამ საკითხის ისტორია შემდეგია: წინად არსებობდა შერეული კომისია, რომელშიაც შედიოდნენ ტრამვაის მოსამსახურეთა და დირექციის წარმომადგენელნი. ამ კომისიის საქმე იყო—დაეთხოვა სამსახურიდან დამნაშავე მოსამსახურე. დირექციამ ეს კომისია კარგა ხანია გააუქმა და მოსამსახურეთა დათხოვნის საქმეს თვით განაგებს დამოუკიდებლად. ტრამვაის მოძრაობის ინჟენერის ბ-ნ კაჩკერის ოფიციალურ ცნობით შერეულ კომისიის გაუქმების შემდეგ დირექციას დღემდე დაუთხოვნია 275 ვატმანი და ბევრად ამაზე მეტი კონდუქტორი. მოსამსახურეებმა რობის სწორედ ამ კომისიის აღდგენა სთხოვეს, მაგრამ რობი არ დასთანხმდა.

✦ **მეგამბეობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, ბამბის პირველი მოსავალი ყარაიაზში წელს კარგი იყო. საცდელ სადგურზე თვითეულ დესეტინას 40 ფუთი წმინდა ბამბა მიუცია.

✦ **საცდელ დაწესებულებათა დათვალიერება.** კავკასიაში გამოგზავნილი მიწათმოქმედების დეპარტამენტის მეორე განყოფილების უფროსი ბ. ა. ვიტმერი გუშინ ტფილისს დაბრუნდა ყარაიაზიდან, სადაც დათვალიერა ყარაიაზის საცდელი მინდორი ტფ. საბოტანიკო ბაღის ყარაიაზის განყოფილება. მოკლე ხანში ბ-ნი ვიტმერი ამავ აზრით თურქესტანს გაემგზავრება.

✦ **დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე** ტფილისს ორს დღეს დარჩა. 8 სექტემბერს მას წარუდგნენ მეფის მოადგილის თანაშემწენი: გენერალი ნ. პ. შატილოვი და სენატორი ე. ა. ვატაცი. ამავ დღეს, საღამოს 6 საათსა და 29 წ. დიდი მთავარი საზღვარ-გარედ გაემგზავრა.

✦ **პუშკინის ბიბლიოთეკა-საკითხველოში** წარსულ სექტემბრის განმავლობაში მისულა 7,017 მამაკაცი, 336 დედაკაცი და 1,727 ბავშვი, სულ—9,080 კაცი. სახლში წაუღიათ წასაკითხად 4,172 წიგნი. 1 ოქტომბრისთვის ბიბლიოთეკას ჰყოლია 770 ხელის მომწერი.

✦ **სამხატვრო კურსები.** მხატვარმა ბ. კ. კაჩუნიმ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს მას, დააარსოს ტფილისში სამხატვრო და საგანგებო ხელოვნებათა კურსები. სხვათა შორის, კურსებზე ასწავლიან ხეზე ამოკვრას, სასტამბო სამუშაოს ქვებზე, ამოქარგვას, ხალიჩების ქსოვას, ხელოვნურ ყვავილების დამზადებას და სხვას.

✦ **მშობელთა კლუბი.** 12 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში (აბას-აბადის მოედანი, 7) ი. ვ. მარჩენკო წაიკითხავს რეფერატს ტფილისში მშობელთა კლუბის დაარსების შესახებ. რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ როგორც კლუბის წევრთ, აგრედვე გარეშე პირთ.

✦ **მოძმბარებელთა ამხანაგობა.** ტფ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს სოფელ ბოდბისხევის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებლებმა ზაქარია ნაცვლიშვილმა და დავით ჩახნაშვილმა, რათა ნება დართოს მათ, დაარსონ ბოდბისხევში მომხმარებელთა ამხანაგობა სახელად „ძმობა“.

✦ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის** მუხლ-მუხლად განხილვას ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიამ დღემდე ოთხი კრება მოანდომა და ხარჯთ-აღრიცხვის მხოლოდ ერთის მესამედის გიხხილვა მოასწრო. შემდეგი კრება ამ კომისიებისა 10 ოქტომბრისთვის არის დანიშნული. ძველის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ვარაუდით ამ თვის ბოლოს დასრულდება და ნოემბრის შუა რიცხვებში ქალაქის საბჭოს წარედგინება ქალაქის გამგეობის დასკვნით.

✦ **წესიერ დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გუბერნატორმა დაჯარიმა მედუქნეები: ა. ნ. კუკუნაშვილი და ონისიმე თურმანიძე—50 მანეთით თითო, პ. გ. ძაღლაკელიძე—25 მან. და ისმაილ უსუბ ოღლი, რომელმაც ნება არ მისცა პოლიციას, მის დუქანში სასანიტარო დათვალიერება ეყოფინათ—50 მან.

✦ რედაქციამ მიიღო გაზ. „თემის“ გამოცემა **„ძუშა გლეხის იობა ისაკაძის ხსოვნას“.** წიგნი კარგად არის გამოცემული: შიგ მოთავსებულია **ალაკის** მიერ დაწერილი ეპიტაფია. აგრედვე მისი ბიოგრაფია და ის წერილები, რომელიც დაისტამბა პერიოდულ გამოცემებში ისაკაძის გარდაცვალების გამო. წიგნში ჩართულია აგრედვე იობა ისაკაძის სურათი. წიგნი შეიცავს 56 გვერდს და ღირს ერთი აბაზი. წმინდა შემოსავალი წიგნისა გადაიდება იობა ისაკაძის ძეგლისათვის.

✦ **ლომბარდების რეორგანიზაცია.** ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილის კანცელარიის თანხმობით მიმდინარე თვის შუა რიცხვებში პეტერბურგში მოხდება საუწყებათაშორისო კომისიის კრება, რომელიც შეიმუშავებს ქალაქის ლომბარდების ახალ კანონპროექტსა და დებულებას. ამის გამო კანცელარიამ ტფ. ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, გაჰგზავნოს ლომბარდის გამგე კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

✦ **მესაქონლეობის გამოკვლევას** ერთსა და იმავე დროს უკვე მეუდგნენ სამს პუნქტში: ყარსის ოლქსა, ახალციხის მაზრასა და ტფილისის მაზრაში. გერმანელთა ახალშენებში გამოკვლევა ცალკე მოხდება.

✦ **წვრილი კრედიტი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, ამ ჟამად ტფილისის გუბერნიაში წვრილ კრედიტის დაწესებულებათა რიცხვი 103.

✦ **კავკასიის საერთამადნო სამმართველოს** ივლისის განმავლობაში ჰქონია 2.547,950 მან. 75 კ. შემოსავალი.

✦ **მასწავლებელ-ქალთა შორის.** შარშან ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ საჭიროდ აღიარა, საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელ-ქალთ ყოველ ხუთის წლის სამსახურისთვის ჯამაგირი მოემატოთ. სურვილი დღემდე სურვილად დარჩა. დღეს, ნაშუადღევის პირველ ნახევარ საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ექმნებათ მასწავლებელ-ქალებს ჯამაგირების მომატების საკითხის თაობაზე სათათბიროდ.

✦ **ტფ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას** წელს გამოცოცხლება ეტყობა. უკვე დაიწყო ლექციების კითხვა ქართულ-რუსულ-სომხურ-თათრულ ენებზე. ამ ჟამად გამგეობამ შეიმუშავა გეგმები საღამოს სკოლების მოწყობის შესახებ. სკოლები გაიხსნება 15 ოქტომბრიდან. სკოლებში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათ. ვერაზე—ოლგას ქუჩა სახლი № 58 კუკიაში—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 158.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მასწავლებელ-ქალთა საზოგადოება** დღეიდან დაიწყებს ყმაწვილების ჯგუფობრივ მომზადებას საშუალო სასწავლებლების პირველ ექვსის კლასისთვის. ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 20 კაცი.

✦ ქართულ გიმნაზიასთან არსებული უფასო სასადილო სექტემბრიდან კვლავ გაიხსნა. წინანდებურად გრძელდება შეწირულების მიღება. რადგანაც წარსულ წელს სასადილომ საზოგადოების დიდი თანაგრძნობა დაიმსახურა, სასადილოს გამგეობამ შესაძლებლად დაინახა უფასო სადილების რიცხვი გაემრავლებინა. ამ ჟამად 120 უმაწვილი სადილობს უფასოდ.

სასწავლებლებში

✦ **დედათა საეპარქიო სასწავლებელში.** რადგანაც სასწავლებლის შეხობის გადაკეთება სწარმოებდა, ამიტომ იქ სწავლა უნდა დაწყებულიყო 1 ოქტომბერს, როგორც ამას აცხადებდა სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო, ამ პირველ რიცხვებში რამდენიმე უქმე ზედი-ზედ შეხვდა, ამიტომ განზრახული იყო წესიერი სწავლა დაეწყოთ 7 ოქტომბერს. ამ დღეს სწავლა მართლაც დაიწყო, მაგრამ მოულოდნელად გახკარგულება იქმნა მოხდენილი, სწავლა შეეწყვიტათ. როდის დაიწყება სწავლა, არავინ იცის, ძოსწავლეთა მშობლები კი მეტად უხერხულს მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი, ბევრი მათგანი ტფილისში სცხოვრობს და უცდის სწავლის დაწყებას.

✦ **სახელოსნო განათლება.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუველმა გადასდო 600 მ. ხოხის სახელოსნო სკოლასთან ლითონის ჩამომსხმელ სახელოსნოს დასაარსებლად.

✦ **ტფ. ვაჭართა მეოთხე გიმნაზიის** ძმობელთა წრის საბჭოს კრება 8 ოქტომბერს მოხდა. კრებაძ აირჩია საძი წარმომადგენელი მშობელთა წრეების ცენტრალურ საბჭოში. არჩეულ იქმნა: გ. ი. თამამძევი, ვლ. ბ. ელიავა და ი. გ. იგიტიანცი.

მშობელთა წრის თაოსნობით 19 ოქტომბერს, საღამოს მატარებლით, მეოთხე გიმნაზიის უფროს კლასების მოსწავლენი, რიცხვით 30 კაცი, ბაქოს მიემგზავრებიან, სადაც დაათვალიერებენ იქაურ ღირსშესანიშნავ ადგილებსა და სამრეწველო დაწესებულებებს და 21 ოქტომბერს ტფილისისაკენ გამოემგზავრებიან.

ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭომ დაადგინა, 14 ოქტომბერს სახაზინო თეატრში წარმოდგენა გამართოს წრის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

სასამართლო

✦ **მილიონერ ტაგიევის საქმის** გამო სენატმა განმარტა, რომ ყველა ის სასჯელი 142 მუხლის ძალით, განთავისუფლებულ უნდა იქმნას სასჯელისაგან უძაღლეს მანიფესტის ძალით. მილიონერ ტაგიევის საქმის გამო სასამართლოში მიცემულთ სწორედ ამ მუხლით აქვთ ძისჯილი სასჯელი, ამიტომ აღიძრა საკითხი მათის სრულიად განთავისუფლების შესახებ. ამის და მიუხედავად ბაქოს სასამართლომ ბრალმდებელი თანახმა არ არის მათს განთავისუფლებაზე ტ ამიტომ იუსტიციის მინისტრს შეეკითხებიან.

სომეხთა ცხოვრება

✦ **ახალი საზოგადოება.** ტფილისში დაარსდა სომხური საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის გამგეობის თავმჯდომარედაც არჩეულ იქმნა ეპისკოპოსი მესროპი, ხოლო წევრებად; ს. ლისიციანი, ს. ტერ-ავეტიქიანი, დეკანოზი გიუთ ადაიანი, ა. ზახნაზარიანი და ს. მალხაზიანი.

დღიური

მოვუსმინოთ მეორე მხარესაც!

Dicat, audiatur et altera pars—მოვუსმინოთ მეორე მხარესაც!..

შევხვდი უცხოეთიდან ახლად დაბრუნებულს ნაცნობ ვექილს და პირველადვე ხუმრობით ვკითხე: შენც ხომ ის საარაკო სიამოვნება არ იგრძენი რუსეთში დაბრუნების დროს, როგორც იგრძნო ერთმა ქართველმა ექიმმა—ევროპაში რომ ვიყავი, სული შემიწუხა კანონიერობამ, სადაც კი გავიხედე, სადაც კი წავედი, ყველგან ყოველთვის კანონი და კანონია გამეფებულიო; რუსეთში კი როგორც შემოვდგი ფეხი, მაშინვე თავისუფლად ამოვისუნთქე, ვიგემე სიმშვენიერე უკანონობისა; აქ, რაც გინდათ, ჩაიდინეთ, ყოველთვის მოახერხებთ გვერდი აუქციოთ კანონს და წესს, თუ კი ასეთი რამ არსებობსო...

— არა,—გამაწყვეტინა სიტყვა ვექილმა:—მე მაგგვარი ახირებული სიტკბოება არ მიგრძვნია, მაგრამ დიდს სიამოვნებას კი ვგრძნობდი უცხოეთში ყოფნის დროს და მეტსა ვგრძნობ ახლა აქ, ჩვენში.

— მიკვირს. მე კი მეგონა, რომ უცხოეთი უფრო დაგაღონებდა. იქ უფრო ნათლად დაინახავდი ჩვენს ჩამორჩენას, დაქვეითებას; ნახავდი, თუ როგორი სისწრაფით წასულა წინ ევროპის კულტურა და ჩვენ კი როგორ დავშორდით ყველაფერს და როდის ვის დავეწევით. იქიდან უფრო ჩაუკვირდებოდი ჩვენს პოლიტიკურს მდგომარეობას და მწარე ნაღველით აგევსებოდა გული.

— წარმოიდგინეთ, არა. როდესაც შევადარე იქაური ცხოვრება და აქარი, ჩვენებური ხალხი და იქაური, სულ სხვა დავასკვენი, სულ სხვა ვიგრძენი. თქმა არ უნდა, ევროპის კულტურა ძალიან განვითარებულია, მაგრამ კულტურა შედარებითი ცნებაა და თუ, მაგალითად, ზოგიერთებისთვის ფრანგები უფრო კულტურული ერია, პირადად ჩემთვის გერმანელები უფრო მაღლა დგანან. ჩემის აზრით, კულტურა ნიშნავს ნიჭს, უნარს, რომლის შემწეობითაც ერთი ერი მეორეზე იმარჯვებს, თავს იკავებს და მტკიცე, გაუთელავი გამოდის საერთაშორისო გაჯიბრებიდან. კაცობრიობის ისტორია ერების ჭიდილია, კულტურული გაჯიბრებაა და უფრო კულტურული ისაა, ვინც უფრო გამძლე, ამტანია, ღონიერი და გამარჯვებულია ამ ჭიდილის დროს. დღეს რომ საფრანგეთი შეეტაკოს გერმანიას, უკანასკნელი ერთს დღეს დაამსხვრევდა საფრანგეთს და ნურავინ იფიქრებს, რომ ამ დამარცხების დროს უმთავრესი როლი ითამაშოს ტლანქმა, მკლავის ძალამ: თანამედროვე ომი უსულო იარაღით არ სწყდება, დღეს ომის ცენტრი ხალხის სულიერი გენიაა, ხალხის სულიერი სიმძლავრე და შემოქმედება. ომის დროს აშკარავდება, რაც კი ხალხში ძალაა, ძალა ნამეტურ პოტენციალური, რომელიც ჩვეულებრივ დროს უხილავიცაა.

აი. ამ მხრივ თუ შევხედავთ ჩვენს ცხოვრებას და ხალხს, უეჭველად ბევრს სახუგეშოს დავინახავთ: ჩვენს ხალხში დიდი კულტურული ძალაა დაფარული, დიდი პოტენციალური შემოქმედებაა, მეტი ვიდრე ევროპის ერებში, და ამ შედარებამ უსაზღვრო სიამოვნება მაგრძნობინა.

— მაგრამ ეს მითხარი: ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ხელს რომ არ უწყობს ამ დაფარულის ძალის გამოჩენას? ჩვენი თვით-მოქმედება და შემოქმედება რომ, არა თუ ვითარდება, უფრო და უფრო იზღუდება? ყოველი ნიჭი მოითხოვს ვარჯისობას, ასპარეზს სამოქმედოთ, ჰაერს გაშაშლილად; ნიჭიც ერთნაირი ყვავილია და თუ დროზე მზის სხივები არ მოხვდა, არ გაიშლება, ისე დაჭკნება. ნიჭს საზრდო სჭირია, თავისი თავით არსებობა მას არ შეუძლიან. დიდხანს იბრძოლებს, ცასა და მიწას მიასკდება, მაგრამ თუ გასავალი ვერ იშოვნა, დაიხრჩობა, ჩაჰქრება. ცოტაა ისტორიაში ამისი მაგალითები? ამაზე რა პასუხი მოგცა უცხოეთში ყოფნამ?

— ჩვენი მდგომარეობა აგრე წყალწაღებული არაა. ერის ცხოვრების ძირში ჩუმი მუშაობაა, ერის შემოქმედებითი ძალა ნელ-ნელა მოძრაობს და მის განვითარებას ვერავინ შეაჩერებს. დღეს ეს მოძრაობა თუ სუსტია, უფერული, ხვალ და ზეგ ყველა დაინახავს მის მომქმედებას. ხელის შემშლელი პირობა ძლიერ ბევრია, უთვალავი დაბრკოლება ეღობება წინ ჩვენს ხალხს და უმთავრესი დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი უვიცი, განუვითარებელი ინტელიგენცია, რომელიც განყენებულს პროგრამას ამოფარებია, მაღალი სიტყვები დაუწერია თავის დროშაზე და საქმეს, სინამდვილეს, კი ანგარიშს არ უწევს.

სხვაგან ცხოვრებას შეისწავლიან ხოლმე, ფაქტებს გაეცნობიან, ცნობებს შეჰკრებენ, ათასნაირად შეამოწმებენ და განიხილავენ ყველაფერს და შემდეგ ამის მიხედვით შეადგენენ სამუშაო გეგმას. ჩვენში კი სულ წინაალმდეგსა ვხედავთ: ჩვენი ნამდვილი მდგომარეობა არავის შეუსწავლია, ნახეს სხვაგან გამზადებული გეგმები და გადმოიტანეს ჩვენში, თან თავისი შეუგნებლობა დაურთეს და მრავალი ოცნება შეუზავეს. ლაპარაკი არ უნდა, იდეალს და ოცნებას დიდი აღმზრდელობითი, ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ერს არ შეუძლიან ცხოვრების,—პოლიტიკურის და სოციალურის—სიდუხჭირეს ოცნების საშუალებით ებრძოლოს.

ცხოვრება დედამიწაზეა და მოითხოვს არა ზეციურს, არამედ მიწიერს სახსარს. კარზე ათასი გასაჭირი გვადგია, სიღარიბე გვახრჩობს, უსწავლელობა ხელ-ფეხს გვიბორკავს, ავადმყოფობა გვაუძლურებს და ამ დროს ინტელიგენტები განყენებული პროგრამის მუხლებს გვაწვდიან, მოსვენებას არ გვაძლევენ თავის დაუსრულებელი, უნიადაგო თეორეტიული კამათით. ჩვენ გვჭირია რეალური პოლიტიკა, ეგენი კი საოცნებო პოლიტიკით არიან დაბრმავებულნი; ჩვენ გვინდა დღევანდელი დღის მოწყობა, ეგენი შორეულს მომავალზე გვითითებენ; ჩვენ გვწყურია ცოდნა, სწავლა, სინამდვილის შესაფერი საშუალების გაცნობა, ეგენი თვითონაც გაურბიან სწავლას-ცოდნას და ჩვენც არაფერს გვასწავლიან.

ჩემის ღრმა შეგნებით, ჩვენი უდიდესი ეროვნული უბედურება დღეს ესაა—უვიცობა და რეალური გეგმის უკუგდება, ის, რომ ჩვენი მეთაურები მოუმზადებულნი და გონებრივად განყენებულნი არიან. ჩვენ დავშორდით სინამდვილეს, არ ვეცნობით წინსვლის ნამდვილს იარაღს, არ ვეცნობით ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას,—და ამ უბედურებას, რაც შეიძლება მალე, მალე უნდა დავახწიოთ თავი. კმარა, რაც ვიოცნებეთ, დროა, მივიდეთ სინამდვილესთან. თუ ვიგრძენი უცხოეთში სიამოვნება ჩვენი ხალხის დიდის ნიჭისა, ვიგრძენი აუცილებელი საჭიროება მეტის რეალობისა ინტელიგენციის მსოფლმხედველობისათვის...

დიდხანს მელაპარაკებოდა კიდევ ჩემი მოსაუბრე. მე არა ვუპასუხე რა. მისი აზრები განმარტოებული არაა, მას თანამოაზრეები ჰყავს ჩვენში. ყოველი აზრი, პირადად განცდილი, საყურადღებოა და მეტი გულდასმით ვუსმენდი ნაცნობს ვექილს: მეორე მხარესაც მოვუსმინოთ!

სიტყვა.

ჩირეგისა და პონსერვეგის მოგზადეგა

გაზეთებმა გვაცნობეს ბ. კრისტაფოვიჩის ჩამობრძანება, რომელსაც ხილის გახმობის კალიფორნიული თუ ამერიკული წესი უნდა ესწავლებინა ჩვენ მეოჯახეთათვის. მეტად საინტერესო სწავლაა ჩვენი ხალხისთვის ჩირების კეთება, რადგანაც არ არის ოჯახი, რომელიც ჩირებს არ ამზადებდეს, თუ ვენახებიანი ქვეყანაა, კერკებს და ტყლაპებს ხომ ყველგან ახმობენ. ამგვარ საქონელს ჩვენებურები რომ ვაჭრობენ კიდეც, ეს ყველამ ვიცით, რადგანაც ჩვენს დედაქალაქში ტივებით ჩირების მთელი გოდრები ჩამოდის ხოლმე.

ეს ხელობა ჩვენ ხალხს, ვგონებ, იმ ხნიდანვე აქვს შესწავლული, რა დროიდანაც პანტა, მაყალო, შვინდი, კრინჩხი, კუნელი, ბაბილო, ღიჭა და სხ. გარეული ხილეულობა იპოვნა თავის სამშობლოს ტყე-ჭალებში. გაანთლებამ ბევრი კარგი რამ იცის, რომელიც ჩვენამდე არ მოსულა, მიუხედავად იმისა, რომ დიდხნოვანი კულტურა გვაქვს. საკვირველი არა არისრა, რომ ამერიკამ თუ კალიფორნიამ ჩირების გაკეთებაში გვასწავლოს რამე. მაგრამ სირცხვილი იქნებოდა ჩვენც არა გვეთქვა რა ამ დარგში ქვეყნისთვის და თავი ისე გვეჩვენებინა, ვითომც ეს საქმე ჩვენთვის ღვთაებრივი რამ გამოცხადებაა.

რა უნდა ეთქვა ახალი ბ. კრისტაფოვიჩს მზეზე ჩირების გახმობაში.

მე ასე ვფიქრობდი, ვერაფერს ახალს ვერ გვეტყვის, რადგანაც მზეზე გახმობა ჩვენში დიდად გავრცელებულია, როგორც იაფი საშუალება. ალბად იარაღები და სისუფთავე იქნება ჩვენთვის საინტერესო მეთქი. მივედი საბალნოსნო სკოლაში საღამოთი. საღამოობით კონსერვების მომზადებაზე იყო ლაპარაკი. კონსერვებიც ძლიერ ცოტა ხილისა სცოდნია ბ. კრისტაფოვიჩს; იცის ატმის, ქლიავის, ვაშლის, ბლის და, ვგონებ, სხვისა არაფრის, რადგანაც კითხვებზე პასუხს სხვის გამოცდილებაზე ამყარებდა და ამობდა, რომ პირადად არ მიცდიაო. იყვნენ იქ ისეთები, რომელთაც მრავალგვარი კონსერვი მოუმზადებიათ, და ძალიან კარგი გამოსვლიათ და წესიც სხვა და სხვა უხმარიათ.

იქნებ მართლა საადვილო იყოს მისი ზუკები, რომლებიც კალის მაგივრად, კანიფოლით კავშირდება. ასეთ ზარდახჩებში გაკეთებული კონსერვები დუღილს არ საჭიროებენო, მაგრამ სჯობს ადუღდესო. ამ შემთხვევაში საძნელოა კანიფოლიანი ზარდახჩების ადუღება, შეიძლება გადნეს და დაიღუბა მუშაობა. ვინც აკეთებს კონსერვებს ჩვენებურად, აქ მისვლით ვერაფერს ახალს ვერ შეიძენდა, ამიტომ მიუსვლელობა დასანანისი არ არის.

ყურძნის წვენის მომზადება სრულიად ჩვენებური ბადაგის მომზადებაა. შენახვაც ისეთივე, როგორც ჩვენ ვინახავთ. მინახავს ბოთლებშიაც ჩვენში, ბანკებშიაც. ადუღებულ ბაჭარს ჩვენში ისევე სწურავენ ლეჩაქებით, ბამბით, მოუდებით და სხვა, როგორც ბ. კრისტაფოვიჩი გვირჩევს თავის ახალის სწავლით.

მეორე დღეს გვაჩვენეს ჩირების დამზადება, გასაფცქვნელი და დასაჭრელი იარაღები სათვალავში მისატანი არ არის, რადგანაც ისინი დიდიხანია ბ. მელიას ჰქონია. ახალია დაჭრილი ხილის გოგირდით ბოლება. ამისათვის ოჯახს უნდა ჰქონდეს გერმეტიულად შეკრული ყუთი. ამ ყუთში ფიცარზე დაწყობილი ხილი იდგმება, გოგირდი ენთება და იხურება. საათნახევარი იბოლება, შემდეგ მზეზე გაიფინება იმავე ფიცრებით, რომლებიც ჩვენებურ სახლების, ღიასტების მაგივრობას ეწევა, მაგრამ დანიშნულებას იმათზე უარესად ასრულებენ, რადგანაც ფიცრები ძირიდგან დაუხვრეტელია, და, მაშასადამე, ჰაერის მუშაობა უარესია საჭირე ხილის გარშემო. ეს შევნიშნეთ, და ბ. კრისტაფოვიჩიც დაგვეთანხმა.

დანარჩენი მუშაობა ჩირის მოსამზადებლად იმავე მზეს ენდობა, ისევე როგორც ჩვენში, ზედ ეყრება მტვერი, ასხედან აუარებელი ბუზი და მწერი, რომლებიც ნიშნებს სტოვებენ ჩირზე. აქ იყო საჭირო რამე გონივრულის და იაფი საშუალების ჩვენება, მაგრამ იქ, ჩვენ განძანათლებლებშიც, ვერაფერი მოუგონიათ საამისო.

მაშ რა ისწავლა ხალხმა ამ ახალი წესისაგან. ერთად ერთი რამ. ჩირის გოგირდით გაღენთა, რომელსაც მარტო ის მნიშვნელობა ჰქონია, რომ ჩირს ცოტა მხიარულს ფერს აძლევს. მავნებლობა კი ამ საშუალებისაგან შეიძლება ძლიერ დიდი იყოს. ჩვენებურად მისი ჭამა აღარ შეიძლება, რადგანაც მაწყინარია. მოხარშულის ჭამა კიდევ შეიძლება მაშინ, როდესაც ორგზის ადუღებულ წყალში გაავლებთ. აი მთლად ის ახალი სწავლა ჩირების შესახებ, რომელიც შემოიტანა ბ. ქრისტაფოვიჩმა ჩვენში. **მგზავრი ლ.**

რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი

ალექსანდრე, ძე იმერეთის მეფის არჩილისა

საყურადღებო წიგნაკი გამოვიდა ამ დღეებში ბორ. ესაძისა რუსულ ენაზე ზემო ამოწერილის სათაურით*). წიგნაკი მოგვითხრობს იმერეთის ბატონიშვილის ალექსანდრეს სამსახურის ამბავს რუსეთში პეტრე დიდის დროს.

როდესაც არჩილ მეფემ დაჰკარგა ტახტი, რუსეთის მეფეს თეოდორე ალექსის ძეს ქვეშევრდომად მიღება სთხოვა 1681 წელს. ორი წლის შემდეგ ამის თანხმობა მოუვიდა და ცოლშვილით გადასახლდა რუსეთში; ჯერ ტერკში სცხოვრობდა, მერე მოსკოვში დაბინავდა. მისი ოჯახი შესდგებოდა ცოლის ქეთევანისაგან, ოთხის ვაჟის—ალექსანდრე, მათე, დავით და მანუკასაგან და ერთის ქალის დარეჯანისაგან. ბატონიშვილი ალექსანდრე სასახლეში იზრდებოდა პეტრესთან ერთად და უკანასკნელის მეგობარიც იყო. პეტრე 16 წლისა იყო მაშინ, ალექსანდრე 14-სა. ალექსანდრემ დიდი ნიჭი გამოიჩინა, მალე დაწინაურდა და პეტრემ საველე არტილერიის გენერლობა უბოძა. 1691 წ. 18 წლის ალექსანდრემ ცოლი შეირთო, ვინმე გლიკერია ივანეს ასული, რომლის გვარი არ ვიცით. ეს ცოლი მოუკვდება და მეორედ შეირთავს ცოლს, ბოიარინ მილოსლავსკის ქალს. 1697 წ. პეტრე უცხოეთში გაემგზავრა და თან წაიყვანა ბატონიშვილი ალექსანდრე. პეტრე და ალექსანდრე ამსტერდამში დაშორდნენ ერთმანეთს, პეტრე აქ დარჩა და ალექსანდრე გაგზავნა გაისტუმრა არტილერიის შესასწავლად.

ალექსანდრეს სწავლობა გაგრძელდა 1699 წლამდის, როცა ის მოსკოვში დაბრუნდა ისევ. 1700 წ. პეტრემ მას ჩაბარა არტილერიის უმაღლესი მართველობა და უბოძა გენერალ-ფელდცეიხმეისტრის ხარისხი. ამავე წელს პეტრემ ომი გამოუცხადა შვეციას; ამ ომში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბატონიშვილი ალექსანდრე. პეტრეს ახალი ჯარი ჯერ საკმაოდ გაწვრთნილი არ იყო, მტერმა დაამარცხა და მრავალი გენერალი და ოფიცერი ტყვედ წაიყვანა, მათ შორის ბატონიშვილი ალექსანდრეც. 1701 წ. ბატონიშვილი ნარვიდან სტოკჰოლმში გადაიყვანეს, სადაც 11 წელი გაატარა ტყვეობაში და ითმენდა ათასნაირს გაჭირვებას და შევიწროვებას. 1711 წ. შვეციის მთავრობამ დაუბრუნა იგი რუსეთში, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. მისი გვამი მოასვენეს მოსკოვში და დაასაფლავეს დონის მონასტერში.

ბორ. ესაძის წიგნაკს დართული აქვს ბატონიშვილის ალექსანდრეს სურათი და მისი რუსული ავტოგრაფები.

წკიპურტები

რა მართალი ყოფილა ქართული ანდაზა: „პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გეწვისო“!

იმ დღიდან, რაც „წკიპურტებს“ ბეჭდავ დავუწყეთ ჩვენს გაზეთში, რედაქტორს და გამომცემელს მოსვენება აღარა აქვთ. დღე ერთია და მომსვლელი, მთხოვნელი თუ მომჩივანი, ასი. ყველას ჰგონია, „წკიპურტებში“ აწერილი ამბავი მე შემეხებაო; ჭფიცულობს, მე არა ვარ და თხოულობს ამის დადასტურებას გაზეთის მხრით.

პირველადვე ოცდათი თავადის ქალი თავს დაესხა რედაქციას, ჯერ რედაქტორს მოუვარდნენ, მერე გამომცემელს: ტყუილსა სწერთ, „ახალ კლუბში“ ახირებულს მანდილოსანს ნემსი ჩვენთვის არ უჩხვლეტია, ჩვენ თუ რუსულად ვლაპარაკობდით, ეს არავის გაუგონია.

მერე მოცვივდნენ შინაგან თუ გარეგან ომში დაჭრილები, პენსია დამსახურებული მოხუცები, სამსახურიდან გამოგდებული მოხელეები, ერთი გოდორი წერილი მოიტანეს: ახლავე უარჰყავით, რომ ჩვენ ადგილი არ გვითხოვია კახეთის რკინის გზაზეო.

მოხელეები წავიდნენ და მღვდლებმა მოირბინეს, თითოს თითო დავთარი ამოეღო იღლიაში: აბა ჭორებს რატომ ავრცელებთ, ჩაიხედეთ დავთრებში, განა ჩვენ როდისმე ქართული ეკლესიის წინაამდეგნი ვიყავით? მართალია ჩვენ შერეულად, ორ ენაზე ვლოცულობთ და ვსწირავთ, მაგრამ ეს სხვა არისო. მღვდლებს მოჰყვნენ მასწავლებლები: კარგად ვიცით, რომ „წკიპურტები“ ჩვენს წინაამდეგ იყო მიმართული, მაგრამ შემცდარი ხართ: ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ქართველმა ბავშმა ქართული ენა სრულიად დაივიწყოს, ჩვენ მხოლოდ იმას მომხრენი ვართ, რომ ქართველმა თავისი დედაენა ცოტათი, ცოტათი იცოდეს და რაც შეიძლება, მკირე დრო მოანდომოს დედაენის გაკვეთილებსო.

ხოლო ამ ორი-სამის დღის განმავლობაში მოსჩენებმა მთლად აიკლეს რედაქცია. მთელი დღე კარი ღია იყო, ვინ გინდათ, რომ არ მოვიდა: კაცი, ქალი, განათლებული, გაუნათლებელი, მდაბალი და დიდებული, მღვდელი და ერი. ყველა ერთსა და იმავეს თხოულობდა ჟინებით: გამოაცხადეთ, რომ ქლიბი მე არა ვარო!..

როგორც ვატყობთ, ასეთ უცნაურ საჩივრებს დასასრული არ ექნება, ამიტომ რედაქცია გადაჭრით აცხადებს: დღეიდან ჩვენი ბინის კარები დაკეტილია ახირებული მთხოვნელებისათვის და ჩვენ ვერ ვიკისრებთ ვისმე კეთილსაიმედო მოწმობა მივცეთ. **ქლიბი.**

---

*) Первый генер. фельдцейхмейстеръ рус. артиллеріи при П. Вел. царевичъ Имеретинскій Александръ Арчиловичъ.

უცხოეთი

დემოკრატთა კავშირის მანიფესტი. საფრანგეთის რადიკალთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება არსებობს, მთავრობის მოქმედების გამო. რადიკალთა ერთი ნაწილი მოუწოდებს ჰეშმარიტ დემოკრატებს, მჭიდრო კავშირით შეეკრანენ მემარცხენე ფრთას და ზურგი უქციონ მთავრობის პოლიტიკას. მათი მისწრაფებაა პარტია გასწმინდონ იმგვარ ელემენტებისაგან, რომელნიც ბარტუს კაბინეტთან ახლო სდგანან.

ამ ამბავმა დემოკრატთა კავშირის მკაცრი უკმაყოფილება გამოიწვია. კავშირის პროცესს საფუძვლად ღრმა პოლიტიკური მოსაზრება უდევს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ კავშირის წევრებად ითვლებიან საფრანგეთის პოლიტიკის შემქნელი, თვალსაჩინო პირნი—მინისტრ-პრეზიდენტი ბარტუ, საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე დეშანელი, მაშინ ადვილად მისახვედრი იქნება, რომ კავშირი ვერ შეურიგდება რადიკალთა მემარცხენე ფრთის სურვილს.

კავშირი მტრულის თვალით უყურებს სოციალისტთა და სინდიკალიზმის მოძრაობას და შეუძლებლად სთვლის რომ რესპუბლიკანელთა უმრავლესობაში უკიდურესი მემარცხენენი შეუშვას.

კავშირმა პროტესტის ნიშნად მანიფესტი გამოსცა. მანიფესტი მოუწოდებს ზომიერ რადიკალებს, მიატოვონ რადიკალთა ბანაკი და მიეკედლონ დემოკრატთა კავშირს. მანიფესტში ნათქვამია. „რადიკალები ცდილობენ გასაქანი არ მისცენ გონიერ რესპუბლიკანელებს; დემოკრატთა კავშირი კი ყოველ ღონისძიებას ხმარობს ფართოდ გაუღოს სახელმწიფო მოღვაწეობის კარი ყოველ ქეშმარიტ რესპუბლიკანელს. დემოკრატთა კავშირის პარტიის, გონიერებაზეა დამოკიდებული, თუ რა გვარ პოლიტიკას მისცეს უპირატესობა—რადიკალურ-სოციალისტურს, თუ დემოკრატიულს, ჰირველს კავშირს თვისი ძალმედების ხელმძღვანელად ვერ აღიარებს, რადგანაც რადიკალ-სოციალისტები დაკავშირებულნი არიან რევოლიუციონერებთან, ისინი აბსოლიუტურ დოგმატს აღიარებენ, მათი მოურიგებლობა ხალხის მასას აფრთხობს და აშინებს. მეორე მიმართულება კი სასტიკად იცავს რესპუბლიკანელ ტრადიციებს, იგი თვისი უმთავრესი პრინციპების უერთგულესია, შეურყეველი; იგი დაუშრეტელის ეხერგიით მიილტვის თვისი იდეალისკენ—პიროვნების უფლებათა და თავისუფლების განხორციელებისკენ“.

რუსეთი

ნაფიც მსაჯულთა განცხადება. პეტერბურგის ოლქის სასამართლოს ერთ-ერთი განყოფილების ნაფიცმა მსაჯულებმა სესიის დასრულებისას განცხადება წარუდგინეს სასამართლოს: წინადადების ავტორნი აცხადებენ: სასჯელის სისტემა ვერ აღწევს მიზანს, ამიტომ საჭიროდ მიგვიჩნია, ყოველნაირი გაძასწორებელი სასჯელი გაუქმდეს და სამაგიეროდ სამუშაო სახლები აშენდეს, სადაც დამნაშავეთ შრომას, ხელობას და გარჯას ასწავლიდნენო. მსაჯულნი აღნიშნავენ აგრედვე, რომ დანაშაულთა უმრავლესობა მაგარი სასმელებისაგან არის გამოწვეულიო.

თეატრი და ხელოვნება

პირველი ახალი პიესა ქართულ სცენაზე. მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართ. თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართული სცენის რეჟისორის და ხელოვანი მსახიობის ვალ. შალიკაშვილის ახალი პიესა „უნიადაგონი“ ოთხ-მოქმედებიანი დრამა ჩვენი თანამედროვე ცხოვრებიდან. ამ პიესაში, როგორც ადრე ავტორის წინანდელ დრამაში „გადაჭრილ მუხაში“, გაძოყვანილია ჩვენი ინტელიგენციის ტიპები. პიესის მთავარი როლები განაწილებულია დასის საუკეთესო მსახიობთა შორის. პიესა დაიდგმება თვითონ ავტორის რეჟისორობით. სრული იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივ გულგრილობას უკუაგდებს და დღეს მაინც ინტერესს გამოიჩენს ქართული დრამისადმი.

ჰოდიპოს მეფე ქართულ სცენაზე. ბ-ნი მიხ. ქორელი შესდგომია უკვე „ჰოდიპოს მეფის“ რეპეტიციებს, რომლისთვის, თურმე, იხატება ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანსაცმელები. ჰოდიპოს როლს შეასრულებს ბ-ნი იმედაშვილი.

---

3. ყიფიანის ისტორიული პიესა „ლევან, სამეგრელოს მთავარი“ წარმოდგენილი იქნება ამ კვირას დაკლებულის ფასებით. მთავარი როლები განაწილებული იქნება ისევ ძველ მოთამაშეთა შორის. პიესა დაიდგმის ვალ. შალიკაშვილის რეჟისორობით.

მორიგი წარმოდგენები ქუთაისში დანიშნულია იმ კვირაში პარასკევსა და შაბათს—18 და 19 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნიას კომედია „ძალა ალმართსა ხნავს“ და ვალ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“. ორივე პიესაში მონაწილეობას ღებულობენ: ტასო აბაშიძის ასული, ალ.—ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილის ასული, ან. საგინაშვილის ასული, მ. ჩდივნის ასული და ბ-ნი ვ. გუნია, ის. ზარდალიშვილი ვ. შალიკაშვილი, გ. იშხნელი, ბარველი და სხვანი. ქუთაისში, ჩველებრივ, წარმოდგენა უნდა გამართულიყო შაბათსა და კვირას, მაგრამ, რადგან ორშაბათს ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორის ფოცხვერაშვილის კონცერტია დანიშნული, ამიტომ ქუთაისის თეატრის ადმინისტრაციას, რათა წარმოდგენებს და კონცერტს ერთმეორისათვის ხელი არ შეეშალა, კვირა დღე თავისუფლად დაუტოვებია.

სახალხო სახლი. პარასკევს, 11 ოქტომბერს, ქართ. სახ. წარმ. მმარ. წრე განაახლებს ბელოის დრამას „უმუშაოვარნი“, რომელიც შარშან სეზონში დაიდგა სამჯერ და მოიზიდა სავსე აუდიტორია. მონაწილეობენ „წრის“ საუკეთესო ძალები. ადგილების ფასი 5 კ. 50 კ. განზრახულია ახლო ხანს წარმოსადგენად „მეგობრობა“ და „ქვის მთლელები“.

ხვალ, 11 ოქტომბერს, ქართულ თეატრში გაიმართება ფრიად საინტერესო სალიტერატურო საღამო ცნობილ ბელეტრისტის **დავით კლდიაშვილისა.** პირველ განყოფილებაში კიტა აბაშიძე წაიკითხავს ლექციას: „ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე“. საკუთარ ნაწარმოებს წაიკითხავენ: დავ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯიკია და ი. გრიშაშვილი. ალ. ჯანელიძე წაიკითხავს საინტერესო ლექციას: „ეროვნული შემოქმედება“ დასასრულ წარმოდგენილი იქნება დავ. კლდიაშვილისავე კომედია „დარისპანის გასაჭირი“.

დეკემბერი

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

9 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ბერლინი. სერბიამ აცნობა სახელმწიფოებს, რომ დაუყოვნებლივ გამოიყვანს ჯარს ალბანეთიდან და იმედოვნებს, რომ სახელმწიფოები უზრუნველჰყოფენ სერბიას ალბანელების თამდასხმისაგან.

პორტუგალიის მისია იტყობინება, მონარქისტებს ღამე სახელმწიფო წესწყობილების ცვლილება სურდათ გაეწყვიათ. ჯარს მონაწილეობა არ მიუღიაო.

საიმპერიო კანცლერის საუზმეზე საზონოვი მიიწვიეს. საუზმის შემდეგ კანცლერმა და საზონოვმა პოლიტიკურ საკითხებზე ისაუბრეს.

რომი. კოკოვცოვმა დილით ინახულა მინისტრ-პრეზიდენტი, საღამოთი—გარეშე საქმეთა მინისტრი.

იტალიური პრესა დიდის ამბით შეხვდა კოკოვცოვს. აღნიშნავენ—ჯიოლეტის, სან-ჯულიანოსა და კოკოვცოვის შეხვედრას ორთავ სახელმწიფოების დამეგობრება მოჰყვებაო.

მინისტრ-პრეზიდენტმა ცირკულიარი გამოსცა არჩევნების დროს უწესოების ჩადენთა საპატიმროში მიცემის თაობაზე.

ნიუ-იორკი. სუფრაჟისტს პანგრესტს ნება დართეს ჩრდილოეთ-ამერიკაში ლექციების წაკითხვისა, პანგრესტმა ხელწერილი დადვა, არ მოუწოდებს არეულობებისადმი და ლექციების გათავების შემდეგ უკან დაბრუნდება.

პარიზი. გაზეთები აღნიშნავენ, ევროპამ უნდა უზრუნველჰყოს სერბია ალბანელების თავდასხმისაგან. სერბიის მიმართვა დიდ სახელმწიფოებისადმი, სრულიად ევროპის საკითხია, რაც ავსტრიას არა სურს აღიარო. ბალკანეთის სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ ძლიერი და ბეჯითი მოკავშირე ჰყავთო.

სოფია. კონსტანტინოპოლის ოლქიდან დაბრუნებული სერბიელი როტა თავს დაესხა ბულგარელების სადარაჯოს ბოიარიცაში და იძულებული ჰყო დაეხია. სერბიელებმა დაიჭირეს სადარაჯო და საომრად დაემზადნენ.

სტამბოლი. დღეიდან სოფიასა და სტამბოლის შორის განახლდება რკინის გზაზე მიმოსვლა.

ვენა. დაიწყო პალატის სესია. პალატამ უარჰყო რუსების წინადადება უწყებიდან საფინანსო კანონ-პროექტების გამოტოვების თაობაზე, რადგან გალიციის სეიმს საარჩევნო რეფორმის საკითხის გარჩევა არ დაუსრულებია. მთავრობამ ემიგრაციის საწინააღმდეგო კანონ-პროექტი წარადგინა, რომლითაც აიკრძალება ემიგრაცია, რიცა უკანასკნელს ქალებით ვაჭრობა და სახელმწიფოს სამხედრო ძალის შესუსტება ან საემიგრაციო პროპაგანდა ექნება მიზნად დასახული.

ლისაბონი. დაიწყო აჯანყება. რესპუბლიკის გვარდიას და დარაჯებს თავს დაესხნენ. მრავალია დატუსაღებული.

ტოკიო. სიპინგაი ტაონან-ფუს რკინის გზა, რომლის სიგრძე 1400 ვერსი იქნება, 110 მილიონი დაჯდება. გზას სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევენ.

რუსეთი.

მოსკოვი. 80 ხმით 62 წინააღმდეგ ქალაქის თავად აირჩიეს კატუარი.

გაიხსნა შინამრეწველობის ნ წარმოებათა სრულიად რუსეთის გამსაღებელი კრება. კრებას დესწრნენ 50 საგუბერნიო და სამაზრო ერობის წარმომადგენელნი.

ცარიცინი. შავი ჭირის მოლოდინში ქალაქს სასანიტარო ბიურო მცხოვრებთ დაურიგებს პიროგოვის ფურცლებს შავი ჭირის თაობაზე. ფურცლები თათრულსა და რუსულს ენაზე დაიბეჭდება. შავი ჭირის წინააღმდეგ ძიღებულია სხვა ღონისძებანიც.

პეტერბურგი. 1914 წლის პირველ იანვრიდან საიუბილეო მარკები ხმარებაში აღარ იქნება. დამზადებული მარკები წელს გაიყიდება, ვიდრე არ გამოილევა. მანეთიანი, ორ-მანეთიანი და სამ-მანეთიანი საიუბილეო მარკები ხმარებაში იქნება.

საელჩოს ცნობით სტამბოლში საეკლესიო გემების მიმოსვლა ნებადართულია ყველა ეროვნებათვის, ხოლო განსაზღვრულია გემების სრუტეში შესვლისა და გასვლის დრო. ეხლა მოლაპარაკებაა გამართული პორტასთან მიმოსვლის რამდენადმე შემსუბუქების თაობაზე და იმედიც აქვთ საქმე სასურველად დაბოლოვონო.

გზათა მინისტრის ამხანაგის შჩუკინის თავმჯდომარეობით შესდგა საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც განიხილავს საკითხს მიეცეს თუ არა უფლება კერძო რკინის გზებს იქონიონ საკუთარი ვაგონების აღსაშენებელი სახელოსნოები, საკუთარი ტყეები, ქვანახშირის სამრეწველოები და ნავთიანი ადგილები.

ბელილისის საქმე.

კიევი. განაგრძობენ მარგოლინის შეკითხვას, რომლისთვისაც ჩებერიაკს უთქვამს, პრიხოდკო იმიტომ სცემდა იუშჩინსკის, რომ მედიცინის შესწავლა სურდაო. მაკლაკოვს მოწმე უპასუხებს, ვიღაც კულიშერმა ბრალმდებელს აცნობა, მკვლელობის აღმოსაჩენად სამი ათასია გადადებულიო. ბრაზულის ჩვენება მით იყო სასარგებლო, ამბობს მოწმე, როცა მიფლემ გაიგო ჩებერიაკი მას ხელს ადებდა, ცოტა ფარდა ახადა, თორემ წინად ბეჯითად ჰფარავდა ჩებერიაკის დანაშაულობასო. კარაჩევსკის მოწმე უპასუხებს: 1911 წელს ურიების დარბევაზე მიმოთქმას იუშჩინსკის საქმესთან კავშირი არა ჰქონია და მოწმეს შესაძლებლად არ მიაჩნია, რომ კიევში ებეთი დარბევა მოხდეს. ჩერბერიაკს და მარგოლინს პირისპირ წაუყენებენ. ჩებერიაკი იმეორებს 40 ათასი შემაძლია, დამცველები და საზღვარ-გარეთის ბილეთი შემპირდა, ხოლო ვინც მე ხარკოვში მაჩვენეს ბამბიანი ზედატანისამოსი ეცვა, დიდკაცობდა, ამბობდნენ, სათათბიროს წევრია, ხელს არავის აძლევდაო. მარგოლინი ამბობს, ფულზე ლაპარაკიც არ ყოფილა, რადგან ჩებერიაკი ამბობდა, ჯავრის ამოსაყრელად მოვედიო, ხელი არ მიმიცია ჩებერიაკისთვის, რადგან ეს დამცირებად მიმაჩნდაო. ბრაზულს უთქვამს მოწმისთვის კიევში დაბრუნებისას, ჩებერიაკს ციანის კალი ჰქონდა, რადგან თურმე წვალებას მოელოდა და დასალევად წამოელოო. ჩებერიაკი ეხლა აცხადებს გლიცერინი და პუდრი მქონდა, რომელიც ბრაზულმა გადააგდოო.

დაწვრილებითი ჩვენებას იძლევა კრასოვსკი. 1911 წელს მაისში პროკურორმა ამ საქმის გამოძიება მიანდო. საქმე დამოუკიდებლად უნდა მეძია, მარტო გამომძიებელთან და ბრალმდებელთან უნდა მქონოდა მოლაპარაკება და საჭიროების დროს პოდპოლკოვნიკ ივანოვისთვის უნდა მიმემართნა. დამხმარედ ვიგრანოვი და პოლიციჩიკი აიყვანა. მაძებარი პოლიცია ხელს არ მიწყობდა, რაც გამომძიებელსა და პროკურორსაც ეკენობა და ამის შემდგომ მიშჩუკს წინადადება მისცეს ამ საქმეზე ძიებისთვის თავი გაენებებინა. პირველი ცნობები ისეთი იყო, რომ მკვლელობა ქურდების საქმედ სჩანდა. გამოძიება ძნელდებოდა, რადგან მცხოვრებთ რაღაცის ეშინოდათ და ჩვენების მოცემას გაურბოდნენ. სასამართლოში მონარქიულ ორგანიზაციების წევრები რაზმიტელსკი და გოლუბევი შეხვდებოდნენ და ბევრს ეკითხებოდნენ მოწმეს. ყველაფერს გამოძიებელსა და პროკურორს ვაცნობებდი, ზოჯერ პალატის პროკურორსაც. მოწმეს ეკითხებოდნენ, რიტუალური ხომ არ არის მკვლელობაო? სლობოდკის მცხოვრებთა ნალაპარაკევმა, ანდრიას პრიხოდკოები სცემდნენო, ჩირკოვმა ქონება დატოვაო და სხვა კრასოვსკი აიძულეს ლუკა პრიხოდკო დაეტუსაღებინა, რომელსაც უჯრაში საფეთქელის ძვლის აღწერა უპოვა. მაგრამ პრიხოდკებს თავი დავანებე, რადგან ჩებერიაკზე მეტი ეჭვები იყოო. ჩებერიაკის გაჩხრიკასას როცა ქუთაის ეკითხებოდნენ, დედამ ენით ანიშნა და ბავში გაჩუმდა. კრასოვსკი რიტუალურ მხრით გამოძიებასაც აქცევდა ყურადღებას. სიკორსკის გამოკვლევის შემდეგ გაჩხრიკე ბელილისი, წვიდე ინსტრუმენტები შესაკაზმავიდან და ჩვენება ჩამოვართვი შემკაზმელ გულკასო. რა მხრითაც არ დავიწყე გამოძიება, ამბობს მოწმე, ყველაფერი ჩებერიაკის სახლისკენ მიმითითებდაო. იუშჩინსკი სკოლაში რომ წავიდოდა, ჩებერიაკთან დარჩებოდა. ჟენია და ანდრია დიდი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ჟენია ძლიერ გულჩახვეული ბავში იყო და იმისაგან ბევრს ვერას გაიგებდა კაცი. ჩებერიაკის ჩვენება კრასოვსკის მკვლელობისა ორ გზას გამოუჩენდა: რიტუალურს და ნათესავებისა. ჩებერიაკის სახლის ფანჯრიდან კარგად სჩანდა ის მღვიმე, სადაც გვამი იპოვეს. ზახარჩენკო, ჩებერიაკის სახლის პატრონი, გაიძახოდა: „მკვლელობა ჩემ კარ-მიდამოში არ მოხდარა“-ო. შახოვსკის პირვანდელს ჩვენებას მოწმე მტრობით ახსნის, რადგან შახოვსკი ქურდობასთვის ქარხნიდან გაეძევეს და ბეილისს მტრობდაო. როცა ბეილისი დაატუსაღეს, ფონენკოს უთქვამს, ეხლა ძლიერ გაძნელდა გამოძიებაო. ამასთან მოწმეს ყველანი უსაყვედურებდნენ, ამბობდნენ თითქო მოსყიდული ვყოფილიყვე. მოწმეს გამოძიებისაგან განთავისუფლება უთხოვნია. მოარქიულ ორგანიზაციის წევრები მის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ. 31 დეკემბერს 1911 წელს მოწმე დაუთხოვნიათ და თვითონ მიუყვია ხელი გამოძიებისთვის, რადგან თავის გამართლება სურდა. მოწმე მოუყვება სასამართლოს 1911 წლის იანვრის და თებერვლის ამბებს: კიევში მაშინ ქურდობა გახშირდა. ჩებერიაკი მოწმეს ქურდების ბინის მიმცემად დაუსახელებია 8 მარტს, 4 დღით ადრე, ვიდრე იუშჩინსკის მოკლავდნენ, ჩებერიაკი პოლიციას გაექცა. 9 მარტს ჩებერიაკის ბინაზე დაატუსაღეს ქურდები: ლისუნოვი, მოდზელევსკი, მიხალკევიჩი და მოსიაკი. 10 მარტს ჩებერიაკი გაჩხრიკეს, როდესაც ეს ამბები მოხდა, ქურდებს ანდრია იუშჩინსკისა შეეშინდათ. ანდრია და ჟენია წაიჩხუბნენ. ანდრიამ უთხრა: „მაძებრებს შევატყობინებო, დედა შენს სახლში სულ ქურდები ჰყავს“-ო. შემდეგ მოწმე დიაკონოვის ნალაპარაკევს მოჰყვება. კრასოვსკი დიაკონოვისას გასცნობია მოსკოვის გაზეთების თანამშრომლად. დიაკონოვისას უთქვამს, 12 მარტს ჩებერიაკისას დიდი ფაცა-ფუცი იყო, იქ იყვნენ სიგნაევსკი, რუდზინსკი და ლატიშევი, რომელთაც ჩებერიაკი საიდუმლოდ ესაუბრებოდაო, დაინახა ვანა, რომლის თაობაზე ჩებერიაკს ეთქვა, ბავშვები ვაბანაველო, დაუნახავს ტომარა, რომელშიაც ჩებერიაკს სიტყვით „ხლოპკების“ ნაქურდალი ეწყოო. დიაკონოვისას ისიც უთქვამს, 1905 წლის დარბევას ქურდები თუ როგორი სიამოვნებით მოიგონებდნენ, როცა აბრეშუმეულობით ჩებერიაკი ცეცხლს გააჩაღებდა ხოლმე. ბავშვები მაშინ გახდნენ ავად, როცა ჟენიას და სხვებს ხშირად დავუწყეთ შეკითხვა. ჩებერიაკმა რომ ავადმყოფი ჟენია საავადმყოფოდან გამოიყვანა, ძლიერ მეეჭვა. კრასოვსკის ვიგრანოვი და

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲩᲣᲚᲘ მიუყენებია ბავშვისთვის, თუ დაილაპარაკებდა ბავშვი, უნდა გამოეკითხნათ. როცა გონებას მოსული ბავშვი ლაპარაკს დაიწყებდა, დედა კოცნით აჩუმებდა. დიაკოვას სიტყვით, დედა მთელი დღეობით სახლში არ იყო, გამოკეტავდა კარებს და ბავშვების ყურის მგდები არავინ იყო და არც არავინ ექიმის დარიგებას ასრულებდაო. ვალენტინა რომ მოკვდა, დედა მხიარულად იყოო. ვიღაც „ქრისტიანის“ ძიერ ხელმოწერილ წერილის თაობაზე კრასოვსკიმ განაცხადა, წერილი მკვლელის დაწერილი უნდა იყვეს, რადგან გვამის გაჭრამდე არავინ იცოდა, თუ რა ხასიათისა იყო ძოკლულის ჭრილობები. ექიმ კარპინსკის ქალაქის თავის მოადგილის ბურჩაკისთვის უთქვამს: მოვდივარ გვამის გასაჭრელად და წერილი მივიღე, სადაც აღნიშნულია ჭრილობები, რიცხვი ამ ჭრილობებისა და რომ მკვლელობა რიტუალური ხასიათისაა“-ო. როცა დიაკონოვისა ჩვენების ჩამოსართმევად პოლიციაში მიუწვევიათ, დიაკონოვისას ეს ჩებერიაკისთვის, როგორც თავისი მეგობრისთვის უცნობებია. ჩებერიაკს ღაურიგებია, არაფერი ეთქვა მის შესახებ და განეცხადებინა, ცოცხალი თავს არ მივსცემ პოლიციასო. ეს ამბავი კრასოვსკის ბრაზულისთვის უამბნია და უთქვამს, არავინ მეშველებაო. ბრაზულს მახალინზე მიუთითებია, ხოლო უკანასკნელს კარაევი მიუყვანია, რომელსაც კრასოვსკი კარგად იცნობდა. კარაევისთვის მიუნდვიათ სიგნარევსკისაგან გაეგოთ რაძე, რადგან კარაევი მას კარგად იცნობდა. კარაევს უთქვამს სიგნარევსკისთვის, შენი ნათესავის, ცხობილი ყაჩაღის ფეტისოვის განთავისუფლება მსურს და დამეხმარეო. შემდეგ როცა კარაევს უთქვამს ჟანდარმთა სამმართველოში დამიბარეს და იქ შენი, ლატიშევის და რუდზინკის გვარები ამოიკითხეო, სიგნაევსკს აღელვებულს უთქვამს — დიაკონოვებს დავხოცავო. იუშჩინსკის ჭრილობების ხასიათის თაობაზე სიგნაევსკის უთქვამს: „ეს რუდზინსკის სამინისტრო თავმა მოიგონაო“. აქვე ისიც უთქვამს, საქმე უნდა მოვიპაროთ ჟანდარმთა სამმართველოდან და ივანოვი უნდა მოვკლათო. ამ საუბარს მახალინიც დასწრებია. შემდეგ სიგნარევსკის ეკვი აუღია და ჩვენება შეუწყვეტნია. ამ დროს სხვა ახალი გარემოება აღმოჩენილა. პარიკმახერ ვეჩკოს, როცა გაზეთებში იუშჩინსკის საქმეში მონაწილეთა სურათები მოათავსეს, უთქვამო, ერთს მათგანს, სახელდობრ რუდზინსკის, ვიცნობო, რომელიც საპოლიციო ნაწილში მასთან იჯდა. დატუსაღებულ შვაჩკოს ღამე საუბრისათვის ყური დაუგდია. ერთს უკითხავს: „ეგრე რად აჩვენეს მასზე“, რუდზინსკის უპასუხნია: „ეგ გამცემლობს, ეგ ძაღლიო“. შვაჩკოს განუმარტავს, რომ სოფიის ტაძრის გაძარცვა ჰქონდათ განზრახული, რადგან კარების შემტვრევა არ შეიძლებოდა, იუშჩინსკი უნდა გადაეძვრინათ ფანჯარაში კარის შიგნიდან გასაღებად.

ეს ამბავი კრასოვსკის გამომძიებელ მაშკევიჩისთვის უცნობებია, მაგრამ ამ დროს კრასოვსკი დაატუსაღეს და სამართალში მისცეს, ყალბი საბუთების შედგენას აბრალებდნენ, მაგრამ პალატამ გაამართლა. კრასოვსკი ამბობს, ამით საშუალება მომეცა გამოძიება მეწარმოებინაო. პროკურორს ეწოწმე უპასუხებს: ნ. პრიხოდსკოს გრიმი მე გაუკეთე, რადგან ვფიქრობდი, მკვლელი გრიმში იქნებოდა, ოქმში რიტუალურ მკვლელობის შესაძლებლობაზეც მქონდა ლაპარაკი, ბელისი და ჩებერიაკი მეგობრები იყვნენო. ზამისლოვსკი ზიარების შემდეგ არ დაერიდებოდა ტაძარში გადაპარვასო. ბავშვებს ტკბილეულობას ვიგრანოვი და პოლიშჩუკი აპმევდნენო. შემდეგ ზამისლოვსკი რამდენიმე შეკითხვას აძლევს მოწმეს ზოგიერთ ცნობების თაობაზე. ზამისლოვსკის შეკითხვაზე, თუ რატომ არ ეკრძალებოდა კრასოვსკი ანარქისტ-კომუნისტ კარაევთან მუშაობას, მოწმე უპასუხებს: „პოლიტიკური credo კარაევის,—ეს კერძო მისი საქმეა, კარაევი საქმეს იძიებდა, რადგან უაზრო მკვლელობა აბრაზებდა“.

შმაკოვს მოწმე უპასუხებს, ღრმადვარ დარწმუნებული, რომ მკვლელობა არ არის რიტუალური. შმაკოვს მოწმე უპასუხებს, გვამი სამი დღე იმიტომ ჰქონდა სახლში, რომ მეტი გზა არ იყო. ზოგი ამხანაგი დაუჭირეს, ზოგიც გაიქცაო. დამცველებს: მაკლაკოვსა, კარაბჩევსკის და გრუზენბერგს მოწმე უპასუხებს: ნეჟინსკი და პრიხოდკოვები ჟანდარმთა სამმართველომ პროკურორის ნება დართვით დაატუსაღაო. კურო-ვსკის მაღაზიიდან მოპარული 80 რეგოლვერი და პატრონები ჩებერიაკის ხელში იყოო, ხოლო შემდეგ თავის მეგობარ ქალს რავიჩს გადასცეო. გამოძიებამ ცხად ჰყო, რომ ჩებერიაკის ბავშვები მოწამლვისაგან არ დახოცილანო. მოწმეს არ სჯეროდა „ორთავიან-არწივის“ საზოგადოების სიტყვები, კრასოვსკის დაიჭერენო, მაგრამ მართალი გამოდგა და იმათ ეს წინდაწინ სცოდნოდათო.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, რათა თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ სიო ბერიძეს, რომელმაც კეთილინება და უფასოდ დაგვითმო დ. ხიდისთავში ახალ გახსნილ საერობო სასწავლებლისთვის შენობის აგებამდე ოთახი შენობა რამდენიმე ოთახით.

ხიდისთავის სასწ. გამგე ბ. **მეგრელაძე.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გიხოვთ ნება გვიბოძოთ, რათა თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ მის ყ-დ უსამლვდელოესობას გორის ეპოზკოპოზს ანტონის, რომელმაც კეთილინება და შემოსწირა დიდი, საეკლესიო ქარლული ხუცური სახარება და სამოციქულო მშვენიერი ყდით, რომელსა ვიხმართ ხოლმე როდესაც შემთხვევით ქართველი მღვდელი სწირავს ალაგირის ამაღლების ტაძარში.

პეტრე მეტრეველი.

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

(დასასრული *)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის განყოფილების სასარგებლოდ შემოსწირეს: ბიკტორ ლაღიძემ 25 კ., გიგო ომანინიძემ 1 მ. 20 კაპ., იოსებ გოგოძემ 1 მ. 20 კ., ალექსანდრე ქართველიშვილმა 20 კ., ერმილე სურგულაძემ 20 კ., თედორე რევიშვილმა 25 კაპ., სიმონ ქართველიშვილმა 1 მ. 50 კაპ., სოლომონ ოპოლაძემ 45 კ., ირაკლი გიგინეიშვილმი 1 მან., პავლე ნამიჩეიშვილმა 50 კაპ., პავლე კვერნაძემ 40 კაპ., რაჟდენ ნანეიშვილმა 2 მ. 60 კ., ვარლამ კვბაროძემ 30 კ., ფარნა რუხაძემ 50 კაპ., ბესარიონ ფარცვანიამ 1 მან., ალექსანდრე ჩაჩუამ 2 მან., ისაკ კაკაურიძემ 25 კაპ., აპოლონ გიგინეიშვილმა 70 კ., ანდრია როხუამ 20 კაპ., ფილიპე ანჯაფარიძემ 30 კაპ., რეშიდ ასან ოღლიმ 60 კ., ნესტორ გეგეშიძემ 70 კ., არტემ გეგეშაძემ 50 კ., ლავრენტი ადეიშვილმა 1 მ. 60 კაპ., ტრიფონ რაზმაძემ 90 კ., კოლია ნიკურაძემ 1 მ. 20 კ., ლავრენტი ფხაკაძემ 50 კ., მელიტონ ახობაძემ 40 კ., გალაკტიონ ბაკურაძემ 50 კ., ილარიონ გეგეშიძემ 40 კაპეიკი, რაჟდენ ჯანჯღავამ 60 კ., ისაკი ჩაჩუამ 25 კ., ბესარიონ ფალავამ 2 მ., პავლე სილოჩავამ 40 კ., ვლადიმერ რუხაძემ 30 კ., სევერიანე ლეკვეიშვილმა 60 კ., ნიკო ნუცუბიძემ 40 კ., დიონოსე შენგელიამ 15 კ., სილიბისტრო მანჯგალაძემ 40 კ., ნიკოლა შენგელიამ 20 კ., ალექსანდრე კილაძემ 40 კ., გიორგი ფოცხვერიამ 1 მ., დომენტი ცაგამ 85 კ., რომანოზ ახობაძემ 1 მ., ეპიფანე კანდელაკმა 50 კ., დათიკო კვანტალიანმა 1 მ. 60 კ., ვასილ სტურუამ 40 კაპ. ლავრენტი ხუჟუამ 60 კ., დათიკო სილოგავამ 40 კ., აპოლონ ნიკურაძემ 1 მ. 50 კ., ნოე ხაჟალიამ 50 კ., გიორგი გეგეშიძემ 20 კ., მიხაკო ცაგარეიშვილმა 60 კ., ივანე ხაზარაძემ 10 კ., გიორგი გიორგაძემ 30 კ., სიმონ მღებრიშვილმა 60 კ., ქალ. მღებროვისამ 2 მ. 50 კ., ნიკო შენგელიამ 40 კ., იოსებ მჟავანაძემ 80 კ., გიორგი დუნდუამ 1 მ., ბიკტორ პაპავამ 60 კ., გიორგი შაშიაშვილმა 1 მ., იასონ კაკაბაძემ 1 მ., პლატონ პაპავამ 1 მ., ნიკოლოზ გაჩეჩილაძემ 1 მ. 50 კ., მიხეილ გეწაძემ 50 კ., ბიკტორ ხურციოლავამ 1 მ. 90 კ., ამბაკო სულაქველიძემ 7 მ. ესტატე ლიპარტიანმა 40 კ. არშაკ ნაზაროვმა 2 მ. 40 კ., პავლე რუხაძემ 70 კ., ერმილე სტურუამ 50 კ., ამბაკო ცაგარეიშვილმა 1 მ. ნოე კოპალეიშვილმა 70 კ., ისიდორე რევიშვილმა 50 კ. სილოვან შილაკაძემ 2 მ. ბესარიონ სტურუამ 50 კ., ვალერიან რუხაძემ 2 მ. მელიტონ სტურუამ 60 კ. კირილე ჩინჩალაძემ 1 მ. ერისტო მაჩიტაძემ 50 კ., ანტონ ანდრიაძემ 30 კ., იოსებ ნაცვლიშვილმა 10 კ., კოწია სტურუამ 2 მ., გიორგი შანიძემ 1 მ., კიმოთე კოპალეიშვილმა 80 კ., ალექსი დგვეფაძემ 20 კ., აპოლონ ნიკურაძემ 2 მ. 50 კ., ივანე ჯანელიძემ 75 კ., ვასილ კოხრეიძემ 2 მან. 50 კაპ., ალექსანდრე სტურუამ 80 კ., ალექსი კილაძემ 80 კ., მიხეილ შენგელიამ 25 კ., ივანე კოპალეიშვილმა 20 კ., ალექსანდრე ბახტაძემ 1 მ. 50 კ., ნიკო ნაცვალაძემ 2 მ., მიხეილ რუხაძემ 1 მ. 55 კ. ლუკა კვანტალიანმა 65 კ., ლუკა მამალაძემ და მოსე მეგრელიშვილმა 3 მ. პავლე ძიძიგურმა 1 მ. 60 კაპ., მიხეილ ბახტაძემ 1 მ. 90 კ., პავლე დევიძემ 1 მ. 50 კ., იასონ გუნიამ 2 მ. 45 კ., ასპირო შანიძისამ 1 მან., ივლიანე იობაძემ 1 მ., ბარნაბა კორძაიამ 9 მ. 75 კ., სიმონ გეგეჭკორმა 1 მ., კოსტა ბახტაძემ 90 კ., სოლომონ შტეინბერგმა 3 მ. 40 კ., ვანო ტერ-არაქელოვმა 1 მ., ქრისტეფორე ჩომახიძემ 50 კ., ჩომახიძემ და ახვლედიანმა 70 კ., არსენ ხუხუნაიშვილმა 50 კაპ., გიორგი სტურუამ 30 კაპ., ბათლომე კილაძემ 30 კაპ., ძმებმა ახობაძეებმა 1 მ., 80 კაპ., კუპრეიშვილებმა 1 მან., იოსებ გიგინეიშვილმა 2 მან., იაკიმ ახობაძემ 1 მ. 50 კ., იაკობ ალბერტოვმა 70 კ., იაკობ მაჭარაძემ 1 მ., დავით ჩაკვეტაძემ და გიორგი ბაღდავაძემ 60 კ., ანტონ ბერაძემ 2 მ., მაქსიმე გუგუნავამ და მიტროფანემ ზამთარაძემ 1 მ. 90 კ., ნესტორ იობაძემ 2 მან., იაკობ მეგრელიშვილმ 1 მ. 20 კ., იასონ ხუჟუამ 50 კაპ. კოტე მხეიძემ 1 მ., ისიდორე სტურუამ 1 მ. 75 კაპ., დარია კოჩინევმ 1 მ. 50 კ., იოსებ გოგიშვილმა 50 კ. ბიკტორ ბუკუჩავამ 1 მ. 50 კ., გიორ ტოროშვილიძემ 50 კ., ანეტა სიხარულიძისამ 10 მან., სპირიდონ სიხარულიძემ 3 მ., გიორგი სიხარულიძემ 5 მ., ტიტო სიხარულიძემ 2 მან. მატრონა სტეფანიდისამ 7 მ., ამბაკო ფრანგიშვილმა 50 კ., კოწია ნაცვლიშვილმა 50 კაპ., ბ. ლიპარტიანმა 30 კაპ., ჟორჟიკა ბახტაძემ 3 მ., ფატა კაკაძისამ 1 მან., დომნა მიქაძისამ 50 კაპ., ფედოსი ბახტაძისამ 25 კაპ., ოლღა ბახტაძისამ 55 კაპ., მაშიკო კიკაჩეიშვილმა 15 კაპ., ივლიტე ჩომახიძისამ 50 კ., ანეტა სტურუამ 20 კაპ., იულინა კაკაძისამ 30 კ.

განყოფილების გამგეობა გულწრფელ მადლობას უძღვნის შემოწირველთ და ყველა იმ პირს, რომელმაც რაიმე დახმარება ამოუჩინა და ხელი შეუწყო მას გამართულ სეირნობის მოწყობაში.

გამგეობის წევრი **ივ. ნაცვალაძე.**

რედაქტორი **ა. ᲬᲣᲛᲑᲐᲫᲔ**

გამომცემელი **ა. ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

Мегтиль. 357852. 3505

უმჯობესს სასახლის იჯარადარი. ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან.

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ზ. ᲡᲝᲚᲝᲚᲝᲤᲒᲘᲚᲘ დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. ნ. ᲓᲘᲐᲚᲐᲡᲕᲘᲫᲔ კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ᲔᲥᲘᲛᲘ Შ. Ა. ᲛᲘᲥᲐᲔᲚᲐᲫᲔ 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ᲥᲚᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲗ

ᲥᲚᲝᲠᲘᲡ

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

Დ. Ა. ᲚᲔᲕᲘᲜᲘ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲞᲘᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 1468

ᲔᲛᲘᲛᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲯᲘᲐᲜᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲘᲡ.

Დ Ი Ლ Ი Თ:

„606“ ᲓᲐ „914“

11—12 Ს. ᲨᲔᲛᲬᲐᲙᲣᲜᲔᲑᲐ

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.

Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

Ბ. Გ. ᲐᲒᲐᲑᲐᲠᲝᲕᲐ: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

Კ. Მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲝᲕᲐ: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

Ნ. Ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

Ა. Რ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **Ო. Ვ. ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲐᲜᲘᲡ** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

Კ. Დ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდ. 1004 ექიმი **Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.**

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

Ნ. ᲕᲘᲣᲙᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲞᲘᲔᲡᲐ **„ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

Ი. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐ

„Გ Ა Მ Ც Ე Მ Ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

Ქ. Შ. Წ.-Კ. ᲒᲐᲛᲐᲕᲠ. ᲡᲐᲯ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

Შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

იერარქია საქ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდელ-მთავარნი,	1 მ.
იბაშვილი პ. ქართ. კათოლიკენი,	10 კ.
ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა,	15 „
პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართ. დიდი მოურავის ამბებით.	30 „
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტ. და მწერლ. წ. 1-ლ	3 მ.
„ იგივე . წ. 2-ე,	3 მ.
რუსეთ. დამყარება საქართველოში,	20 „
სტატისტიკ. ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ., .	2 მ.
ფრონელი ა. მთიულეთი, .	40 „
„ კახეთის ამბობება,	60 „
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ.,	3 მ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-13-ტე საუკუნემდე, წ. 1 ლი,	40 „
იგივე . წ. 2-ე,	1 მ.
იგივე . წ. 3-ე ,	40 „
ქვარიანი. საქარ. მოკლე ისტ. ყდით,	40 „

ახლად მიღებული წიგნები:

ზოლა. „მაღაროებში მომუშავენი“, ი. ავალიშვილის ნათარგმნი,	85 კ.
ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკ., .	1 მ.
იოს ყიფშიძე. Житіе и мученичество Св. Антонія Раваха. .	40 „
Н. С. Эсадзе, Первый генералъ-фельдцейхмейстеръ русс. артилл. при П. Великомъ царевичъ Имеретинскій Александръ Арчилович.	70 „

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲐᲤᲐᲓ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲝ ᲛᲐᲛᲣᲚᲝᲨᲘ

საუკეთესო ზამთრის ხეხილი: მსხლები, ვაშლები და სხვა, შომავალ შემოდგომაზე დასარგველად.

ადრესი: მუხრანის ფოსტის განყოფილება. 680

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲜᲘ (ქვა-ნახშირის მთხრელები)

ᲔᲛᲘᲚ ᲨᲝᲚᲐᲡ რომანი მუშათა ცხოვრებიდან ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი. ტფილისში 1) **ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.** 2) ცენტრალურ წიგნის მაღ. გ ოლ ოვ. პროსპ, 3) მკრეკლიძის მაღაზიაში „ცოდნა“, 4) კიკნაძის წიგნ. მაღაზ. გოლ. პრ. ქუთაისში: 5) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 6) ოცხელის წიგნის მაღაზიაში.

წიგნის ფასი 85 კ. ვინც 5 ცალზე მეტს იყიდის ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში დაეთმობა 20 პროცენტი. 1519

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲔ

ᲙᲚᲝ-ᲣᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ერთად-ერთია, რომელიც სხვა და სხვა ნიადაგზე და სხვა და სხვა ძირზე იმყნება. 1913—14 წ. გვაქვს გასაყიდად 35,000 წოლიკაური, 4,000 კრახუნა. 22,000 ცოცქა, 12,000 ანდასაური, 10,000 მწვანე, 32,000 რქა-წითელი, 35,000 საფერავი, 12,000 გალობიშავი, 8,000 ოცხანაური, 25,000 ალიგოგნე, 8,000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიენი, 42,000 კაბერნე, 20,000 პოლ-ბლანში, 15,000 გრანნუარი, 28,000 განე თეთრი და შავი და 80,000 მეტი საუკეთესო ჯიშის ნამყენი **რუპერსის** დიდი 3309, 101, 14, 1202 და 420 A—65 მან. 1,000 ცალი საღვინე ჯიშისა და 80 მან. 1,000 სამეფო ჯიშის.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: წერილებისა და დეპეშებისთვის: **ᲙᲚᲝ-ᲣᲒᲣᲠᲣᲚᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** 665

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲰᲒᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲖᲐᲫᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲘᲡ ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ.

15 ოქტომბრიდან გაიხსნება პარალელური განყოფილება კურსების მეცადინეობა კურსებზე საღამოს 7½ საათზე დაიწყება. სკოლაში მიღება დღის 8—3 საათამდე. 1 თუმანოვის ქუჩა № 13. მიღება კურსებზე საღამოს 6—10 საათამდე. მიხეილის პროსპ. № 17. 678

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲒᲔᲭᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲕᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲡ

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲖᲔ“

ეს წიგნი იქნება მე 21-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე და დართული იქნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიიწოდოს საზოგადოებას, დ სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად.

წიგნი იბეჭდება ორ-ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოდ დ ეღირება 1 მან. და 2) ძვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით—2 მანეთად.

ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაგვიყიდის, იმას ერთი წიგნი კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.

იმ დაწესებულებათა და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაგვისაღებს, მას მიეცემა მანეთზე 15 კაპ.

ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდი, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისთვის.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ წიგნი იბეჭდ განსაზღვრული რიცხვით და თუ გადარჩა ხელის მოწერის შემდეგ თავისუფალ ეგზემპლიართა რიცხვი, იმ შემთხვევაში მანეთიანს მიემატება **ათი შაური** და ორ მანეთიანს **ერთი მანეთი.**

მისამართი: Тифлисъ—Авлабаръ, Кабгеровская № 29. Ю. Абуладзе 149

ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲡᲐᲧᲘᲜᲣᲚᲔ-ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ

ᲫᲛ. ᲙᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮ. № 9. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.

ᲐᲛᲣᲠᲘᲡ **ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ** | ᲙᲔᲢᲝᲕᲘᲡᲘᲒᲘ, ᲓᲕᲘᲜᲘᲡ **ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ, ᲒᲠᲣᲖᲓᲘ, ᲑᲠᲣᲡᲜᲘᲙᲐ** ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ

ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ᲙᲝᲚᲝᲤᲘᲗ ᲬᲮᲔᲚᲘ ᲡᲝᲙᲝ. 150

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲐᲚᲑᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲕᲡᲗᲮᲝᲕᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲡ,

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ